საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისში, საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე. შპს „საქაერონავიგაცია"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.26.009.013.

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: სასაწყობე შენობა

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

გამოსაკვლევი ნაწილები: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმოჟნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

გამოკვლევა:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

- საპროექტო ობიექტისათვის განსაზღვრული დაკავებულობა არის **სწ-2** – (სასწყობო სივრცისთვის).

- დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების" ცხრილი 1004.1.2-ის მოთხოვნებს, კერძოდ: სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- ექსპერტის მიერ შეფასებული იქნა საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (II-B ტიპი) , რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით, რაც აკმაყოფილებს „წესების" 503 ცხრილის მოთხოვნებს.

- (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების" 503 ცხრილის მოთხოვნებს.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- შენობის დაკავებულობის დატვირთვის (ცხრილი 1021.2(2)) და გასასვლელმადე სავალი მანძილის (ცხრილი 1016.2) გათვალისწინებით, საჭიროა მინიმუმ 1 გასასვლელის მოწყობა - პროექტით გათვალისწინებულია - 1 გასასვლელი.

- შენობას გასასვლელ საშუალებად გამოყენებულია ერთი გზა-კარი და პანდუსი, რაც შესაბამისობაშია 1003.5 პუნქტის გამონაკლის 1-თან, ვინაიდან დონეთა სხვაობა 10 სმ-ის ტოლია.

- მოწყობილი გზა-კარი შესაძლოა იყოს წარმოდგენილი სახით 1008.1.2 გამონაკლისი 1-ის მოთხოვნას, ასევე გასათვალისწინებელია 1008.1.4.2 პუნქტის მოთხოვნები.

- გასასვლელის საშუალებად გამოყენებული პანდუსი შეესაბამება 1010.3; 1010.4; 1010.5 და 1010.6 მოთხოვნებს.

- გასავლელამდე სავალი მაძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად და შეესაბამება ცხრილი 1021.2(2)-ს მოთხოვნებს.

- შენობას არ მოეთხოვება თავშესაფრის ფართობი.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- ვინაიდან შენობა ერთსართულიანიგზა კიბე გამოყენებულია არ არის.
- შენობაში დაგეგმარებული სავალი ნაწილის ზომები, გასასვლელი კარების და სტელაჟებს შორის არსებული დაშორება შეესაბამება 1005.3.2 პუნქტის მოთხოვნებს.

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

შენობის ყველა ნაწილში და მის გარეთაც საკადატრო ერთეულის ფარგლებში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა.

-შენობის გააჩნია ერთი მთავრ შესასვლელი, რომელიც არის მისაწვდომი. მოწყობილია 5%-იანი ქანობის 2 X 4 მ -ზე გაბარიტების მქონე პანდუსი.

-შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა, მითითებულია მისაწვდომი სვლა-გეზი და არცერთი კარის ზომა არ არის 82 სმ-ზე ნაკლები.

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

შენობის გარე კედლებს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და კონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით, 602 ცხრილის მიხედვით, არ ესაჭიროება ხანძარმედეგობა, ხოლო გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. შენობას დაუცველი ღიობები აქვს ორ მხარეს. ერთ ცმხარეს ხრილის მიხედვით დაშორება საკადასტრო საზღვრიდან 10.1 მ-ს შეადგენს და ღიობების რაოდენობა შეუზღუდავია, ხოლო მეორე მხარეს დაშორება 6 მ-ს შეადგენს და ნაცლად 45%-ის მოწყობიალია 2%. გარე კედლებს არ აქვს პარაპეტი. რაც დასაშვებია (705.11 პუნქტის N6 გამონაკლისის შესაბამისად). ასევე შენობის სახურავი გადმოშვერილია გარე კედლის სიბრტყიდან რაც არ არღვევს 705.2 ცხრილის პირობებს.

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

საპროექტო შენობის სახურავი არის ორ ქანობიანი, ლითონის წამწეებზე მოწყობილი არაწვადი მასალის სენდვიჩპანელით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმოჯნავების შეფასება:

საპროექტო ობიექტი არის ერთი დაკავებულობის შემცველი და 508.4 ცხრილის შესაბამისად არ საჭიროებს ცეცხლმედეგ გამმოჯნავებს.

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

საპროექტო ობიექტს არ მოეთხოვება ავტოსაშხეფები, ვინაიდან 903.3.1.1.1 პუნქტის შესაბამისად, დაცულია 907.2 ქვეთავის შესაბამისად გათვალისწინებული ცეცხლის აღმომჩენი ავტომატური სისტემა. გათვალისწინებულია:

- კვამლის კონტროლის სიტემა
- სახანძრო განგაშის სისტემა
- ხელსი ცეცხლმაქრები

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება „წესების“ ცხრილი 1602.1-ის მოთხოვნებს. უშაულოდ შენობაში მოწყობილია სამომხმარეო ნიჟარა ხოლო ტუალეტი მდებარეობს ცალკე მდგომ საყარაულოს შენობაში რომელიც დაშორებულია 32 მ-ით საწყობის შენობიდან, რაც შეესაბამება 1062.3.2 პუნქტის მოთხოვნებს.

დასკვნა

ქ.თბილისში, საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „საქაერონავიგაცია“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.26.009.013, დაპროექტებული სასაწყობო შენობის პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

მუშა დოკუმენტაციის და საინჟინრო კომუნიკაციების დამუშავებისას გათვალისწინებული იქნას წესების მოთხოვნები.

ექსპერტი: ლ.ხუბაშვილი

გამოყენებული მასალები:

შპს არქი-მედი+"-ის მიერ, ქ.თბილისში, საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „საქაერონავიგაცია“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთი ს/კ 01.19.26.009.013 დაპროექტებული სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 - 008

გადაეცემა

ლევან ხუხაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

GEORGIA

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

MASTER'S

DIPLOMA

M № 001773

By decision N 33 February 8, 2011

of the faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Mr. Levan Khukhashvili

was awarded the Degree of Master of

Engineering in

Architecture

რეგისტრაციის № 01306
Registration

თბილისი 10 5 2011
Tbilisi რიცხვი/day თვე/month წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

M № 001773

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2011 წლის 8. 2 № 33

გადაწყვეტილებით ლევან ხუხაშვილს

მიენიჭა ინჟინერინგის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი არქიტექტურის

სპეციალობით

დეკანი / გოჩა [illegible]
Dean / Gocha M[illegible]

რექტორი / არჩილ ფრანგიშვილი
Rector / Archil Prangishvili

Seal

- ლევან ხუხაშვილი

მისამართი: საქართველო,ქობულეთი,
შუქრუკის ქ№5, ბინა 4/5

არქიტექტორი

ტელეფონი: (+995 99) 591 270 222

ელ-ფოსტა: levan.khukhashvili@gmail.com

განათლება -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2000-2005 წწ. – არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატი.

-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2008-2010 წწ. – არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრატურა – ენვაირონმენტის მაგისტრი ქალაქთმშენებლობის განხრით.

სპეციალობა არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი 11 წელი

<u>სამუშაო გამოცდილება</u>

2005 წ. - შ.პ.ს."ტურიტორიათა განვითარების სააგენტო თბილქალაქპროექტი"

2006-2008 წწ. - არქიტექტურული საპროექტო "L-სტუდიო" - მთავარი არქიტექტორი.

2009-2010 წწ. - არქიტექტურული საპროექტო "არქ ჭრიატონ"- მთავარი არქიტექტორი.

2011 წ. - დღემდე -შ.პ.ს. "თბილქალაქპროექტი" - არქიტექტორი.

შესრულებული სამუშაოები:

- ცენტრალური სუპერმარკეტის ("ღუზერტირების ბაზარი") პროექტი;
- ურეკის ბულვარის პროექტი;
- სასტუმრო კომპლექსის პროექტი შაორის ტბაზე;
- ოზურგეთის ცენტრში ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;
- სასტუმროს შენობის რეკონსტრუქციის პროექტი სამრეკლოს ჭუჭაზე.
- მრავალფუნქციური შენობის პროექტი, ქობილისში, მდებარე "პაბლოთის" მიმდებარედ.
- საცხოვრებელი კომპლექსი შვლიჭიშვილის გამზირზე. №15,17 და 19-ში.

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ვაზისუბნის ქ№36-38-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი უნივერსიტეტის ქუჩაზე.
- არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი ქობილისში ერეკლე II-ს ქუჩაზე.
- არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი ქობილისში კახიის ქუჩაზე.
- საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის პროექტი ქობილიში, ლუბლიანას ქუჩა № 019/147
- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი ქობილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა ნაკვ№008/400
- რესტორნის შენობის პროექტი ქობილისი, მოსკოვის გამზირი №25;
- რესტორნის შენობის პროექტი ქობილისი, გაგულუას ქ №2ა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმა ქობილისი გარეკახეთის ქუჩის მიმდებარედ.
- განაშენიანების რეგულირების გეგმა ქობილისი საქმოს გასასვლელის და ჩოლოყაშვილის ქუჩების მიმდებარედ.
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ქობილისი შატბერაშვილის, კვკვლიძის რწეულიშვილის ქუჩების მიმდებარედ.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქობილისში ნუცუბიძის ქ№77-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქობილისში დეპოს ქ№23-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქობილისში გარე კახეთის ქ№3-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქობილისში ფიზკულტურის ქ№44-ში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქობილისში ნიქოზის ქ№6-ში.

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქობულეთში მარცხენაპირა და წყალტუბოს ქუჩების კუთხეში.
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი ქობულეთში ნადიკვარის III ქუსაზე.
- სასტუმროს პროექტი ბარნოვის ქ№22-ში.
- სასტუმროს პროექტი მუკუზის ქ№20-ში.
- სასტუმროს პროექტი ბელიაშვილის ქ№101ა-ში.
- სასტუმროს პროექტი ვეფხიშვილის ქ№6-ში.

ენები
- ქართული (მშობლიური)
- რუსული (სრულყოფილად)
- ინგლისური (კარგად)

კომპიუტერული და ტექნიკური უნარჩვევები:
- **ArchiCAD**
- **AutoCAD**
- **Artlantis Studio**
- **Word, Exsel.**

სპეციალისტი ლევან სუხაშვილი

დირექტორი ირაკლი კვარაცხელია